



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 19 ივნისი 2018 წელი

დრო: 17:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: „ლიბერალური აკადემია თბილისი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
4. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
5. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
6. ნუგზარ კობრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
7. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

განსახილველი საკითხები:

- სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში მონაწილეთა შერჩევის წესი
- ახალი წევრების მიღება
- სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნათია კუპრაშვილმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ პირველ საკითხად განიხილა თემა, რომელიც ეხება სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში მონაწილეთა შერჩევის წესს. დელეგატების არჩევის წესთან დაკავშირებით გაიმართა დუსკუსია და წამოიჭრა კანდიდატების არჩევის 2 წესი. პირველი წესი ითვალისწინებდა გამოცდილი პრაქტიკით კანდიდატების არჩევას, როგორც ეს ხდებოდა წინა წლებში, ელექტრონული საშუალებით, როდესაც ყველა ორგანიზაციას აქვს საშუალება აირჩიოს ფორუმზე დასწრების სასურველი კანდიდატი ყველა ჯგუფიდან. მეორე წესი კი ითვალისწინებდა კანდიდატების არჩევას მხოლოდ ჯგუფის წევრებისგან იმ ერთ ჯგუფში, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომ პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ჯგუფების მუშაობაში და ორგანიზაციებს აქვთ უფლება წარმომადგენელი ყავდეთ 2 სამუშაო ჯგუფში, უნდა მომხდარიყო გამიჯვნა თუ რომელ ჯგუფში აქვს კონკრეტულ ორგანიზაციას ხმის უფლება. ეს პროცესი ძალიან ხანგრძლივ პროცედურებს მოითხოვდა. შესაბამისად საკოორდინაციო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება რომ წელსაც კენჭისყრა მოხდება ძველი წესით.

ნათია კუპრაშვილმა ისაუბრა იმ საკითხზე, რომელიც უკავშირდება პლატფორმის წევრი ორგანიზაციების გააქტიურებისა და ჩართულობის გაძლიერებაზე. მან შესთავაზა საკოორდინაციო საბჭოს რომ თვეში ორჯერ მოხდეს ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მხრიდან კონკრეტული ანგარიშების მომზადება.

მეორე საკითხად საკოორდინაციო საბჭოს განსახილველი ჰქონდა ეროვნულ პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი 5 ორგანიზაციის სააპლიკაციო ფორმა. საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა და 3 ორგანიზაცია, „თავისუფალი მედია სივრცე“ , „საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია“ და „საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი“ მიიღო წევრად, ხოლო დარჩენილი 2 ორგანიზაციას ასაკის გამო მიენიჭათ ასოცირებული წევრების სტატუსი, ესენია : „სამოქალაქო განათლებისა და განვითარების ცენტრი“ და „გაერთიანება ჯანმრთელობისა და განათლებისთვის“

სხვა განსახილველ საკითხებში ეროვნულმა კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა ისაუბრა ახალ საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც მან პლატფორმის წევრ სხვა ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ეხება მთავარი პროკურორის თანამდებობაზე არჩევის წესის ცვლილებას. მან საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო ის ძირითადი მახასიათებლები აღნიშნული ინიციატივის, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტური პროკურატურის ორგანოს ჩამოყალიბებას. ასევე ჩაინიშნა აღნიშნული კანონმდებლო ინიციატივის შესახებ გასამართი პრესკომფერენცია, რომელზეც მოწვეული იქნება მედია და მოხდება ამ წინადადების წარდგენა საზოგადოებისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაბე